ბრძანება № 14-1

14 თებერვალი, 2011 წ.

ქ. თბილისი

"მასწავლებელთა სერტიფიცირების დებულებისა და მასწავლებლის სერტიფიკატის ნიმუშის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 4 დეკემბრის N 1101 ბრძანების მე-5 მუხლის მე-3 პუნქტისა და მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. განისაზღვროს **მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდისთვის რეგისტრაციის** ვადა 2011 წლის 14 თებერვლიდან 25 მარტის ჩათვლით.
2. დამტკიცდეს მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდისთვის რეგისტრაციის მიზნით შესავსები განაცხადის ფორმა ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.
3. დაევალოს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის კანცელარიის/კადრების მენეჯერს, თამარ ბაქრაძეს ამ ბრძანების დაინტერესებულ პირთათვის ოფიციალურად გაცნობა.
4. ცენტრი უზრუნველყოფს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საგანმანათლებლო რესურსცენტრებისთვის ბრძანებისა და მისი დანართით გათვალისწინებული განაცხადის ფორმის გაგზავნას, აგრეთვე ცენტრის ვებ-გვერდზე: www.tpdc.ge მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდისთვის რეგისტრაციის შესახებ ინფორმაციისა და განაცხადის ფორმის განთავსებას არაუგვიანეს 2011 წლის 16 თებერვლისა.
5. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

დანართი : 1 გვერდი.

გია მამულაშვილი

დირექტორი

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

სასერტიფიკაციო გამოცდის რეგისტრაციის

გ ა ნ ა ც ხ ა დ ი

მასწავლებლის პირადი მონაცემები

სახელი:		გვარი:		მამის სახელი:	
პირადი ნომერი:			პირადობის მოწმობის ნომერი:		
დაბ. თარიღი:	რიცხვი / თვე / წელი		სქესი:	მოქალაქეობა:	

მასწავლებლის საკონტაქტო მონაცემები

რეგიონი:		რაიონი:		საფოსტო კოდი:	
ფაქტობრივი საკონტაქტო მისამართი (ქალაქი/სოფელი, ქუჩა, სახლის ნომერი):					
საკონტაქტო ტელეფონი(ები):					

ჩასაბარებელი საგნის/საგნების ჩამონათვალი

1	
2	
3	

თანდართული საბუთების ნუსხა

1	პირადობის მოწმობის 2 ასლი	
2	განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (ნოტარიალური წესით დამოწმებული)	
3	ცნობა მაძიებლობის პერიოდის წარმატებით გავლის შესახებ	
4	ცნობა სამუშაო გამოცდილების შესახებ (იმ საგანმამანათლებლო დაწესებულებიდან სადაც პირს აქვს პედაგოგიური საქმიანობის მინიმუმ 1 წლიანი გამოცდილება, თუ პირი ამჟამად არ მუშაობს სკოლაში)	
5	სასერტიფიკაციო გამოცდის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი	
6	გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი ფორმის შევსებული ანკეტა	
7	ერთი ფოტოსურათი (ზომით 3X4)	

* მესამე სვეტში შესაბამისი საბუთის გასწვრივ დასვით "√" ნიშანი იმ შემთხვევაში თუ გაქვთ ეს საბუთი წარმოდგენილი

ვადასტურებ, რომ ჩემს მიერ მოყვანილი ყველა ინფორმაცია და დოკუმენტაცია უტყუარია,

ხელმოწერა: _____ თარიღი: / / ₾